ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №106

2013 წლის 3 ოქტომბერი,
ქ. ბათუმი

ბსუ-ს ფაკულტეტების სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის, განათლების, ფიზიკა–მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტების დებულებები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ (**დანართები 1, 2, 3, 4**);

2. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**

დანართი 1

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში – ფაკულტეტი) სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესსა და პირობებს.

2. დოქტორის აკადემიური ხარისხი შეიძლება მიენიჭოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელმაც გაიარა დოქტორანტურის სრული კურსი და წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით დაიცვა დისერტაცია.

მუხლი 2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო (შემდგომში - სადისერტაციო საბჭო) არის ფიზიკის, მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა მიმართულებებით დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.

2. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორი.

3. საბჭოს გადაწყვეტილებით საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული პირები.

4. საბჭოს ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - საბჭოს თავმჯდომარე), რომელიც აირჩევა ფარული კენჭისყრით, ორი წლის ვადით, სადისერტაციო საბჭოს პირველ სხდომაზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს ამტკიცებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო (შემდგომში - აკადემიური საბჭო).

5. საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.

6. საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება არჩეული იქნეს ბსუ–ს სრული ან ასოცირებული პროფესორი. ერთი და იგივე პირი საბჭოს თავმჯდომარედ ზედიზედ შეიძლება არჩეული იქნეს მხოლოდ ორჯერ.

7. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს საბჭოს წევრთაგან შერჩეულ მოადგილეს და მდივანს;

ბ) იწვევს და უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომებს.

გ) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას ბსუ–ს ვებ-გვერდზე.

8. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი;

9. საბჭოს მდივანი:

ა) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას:

ბ) აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს.

გ) ხელმძღვანელობს საქმის წარმოებასა და უზრუნველყოფს საბჭოს დოკუმენტაციის შენახვას;

დ) კონსულტაციას უწევს დოქტორანტებს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდგომ სათანადო დოკუმენტების მომზადებაში.

მუხლი 3. სადისერტაციო საბჭოს სხდომები და ფუნქციები

1.სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიღებულია თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა 2/3. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით.

2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

3. სადისერტაციო საბჭო:

ა) იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სადისერტაციო თემისა და ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ბ) ნიშნავს შემფასებლებსა და დისერტაციის დაცვის თარიღს.

გ) საბჭოს შემადგენლობიდან განსაზღვრავს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას;

დ) სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე პირს ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

მუხლი 4. დისერტაცია

1.სადისერტაციო ნაშრომს წარედგინება შემდეგი მოთხოვნები:

ა) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ნაშრომის მომზადება უნდა მოხდეს ამ დებულებით დადგენილი წესით.

ბ) დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს, შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი კვლევისას.

გ) დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის სადისერტაციო საბჭოზე წარდგენის წინაპირობაა:

ა) სადისერტაციო ნაშრომზე საერთაშორისო გამოხმაურების არსებობა. შესაბამისად, ბსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტმა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსთან თანამშრომლობით უნდა შექმნას უცხოელ ექსპერტთა მონაცემების საინფორმაციო ბაზა და უზრუნველყოს დისერტაციის შემოკლებული, დოქტორანტის მიერ უცხო ენაზე თარგმნილი ვარიანტის (30-50 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირება. სადისერტაციო ნაშრომის უცხო ენოვან ვარიანტთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია დოქტორანტი.

ბ) დოქტორანტის მიერ სადოქტორო თემაზე შესრულებული მინიმუმ ხუთი ნაშრომი/სტატია უნდა იყოს დაბეჭდილი ან დასაბეჭდად მიღებული საზღვარგარეთ ან საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ ან ბეჭდურ ჟურნალში, ან შესაბამის საერთაშორისო დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში, მათ შორის, ერთი სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული 0,5-ზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.

3. სადისერტაციო ნაშრომის ტენიკური პარამეტრებია: ზღვრული მოცულობა - მოცულობა არა ნაკლებ 100 გვ.; დასკვნა – 6-10 გვ.; ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი; ფურცლის ზომა - A /4; ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს 12-იანი შრიფტით, შრიფტის სახეობა – Sylfaen, სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 3 სმ., მარჯვნიდან – 1,5 სმ., ზემოდან – 2,5 სმ., ქვემოდან – 2,5 სმ.

4. დისერტაცია უნდა დაიბეჭდოს და აიკინძოს დადგენილი სტრუქტურით. აღნიშნულ სტრუქტურაში იგულისხმება:

ა) თავფურცელზე, დისერტაციის პირველ გვერდზე, ზემოთ უნდა მიეთითოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება - სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

ბ) მომდევნო ხაზებზე 1,5 ინტერვალის დაშორებით ფაკულტეტისა და დეპარტამენტის დასახელება, შემდეგ იწერება დოქტორანტის სახელი და გვარი, შუა ნაწილში – დისერტაციის სათაური (შრიფტის ზომა 16), ამის შემდეგ - ფრჩხილებში, საძიებელი აკადემიური ხარისხი, მის ქვემოთ, მარჯვენა მხარესთან ახლოს, - დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის აკადემიური თანამდებობა/ აკადემიური ხარისხი, ინიციალები და გვარი. თავფურცლის ბოლოს მიეთითება შესრულების ადგილი და ნაშრომის წარდგენის წელი (მაგ: ბათუმი - 2013);

გ) სარჩევში თანმიმდევრულად უნდა აისახოს დისერტაციის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება გვერდების მითითებით;

დ) შესავალი – მასში წარმოდგენილი უნდა იყოს საკვლევი თემის აქტუალურობის დასაბუთება, მიზნები და ამოცანები, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

ე) ძირითადი ტექსტი უნდა ასახავდეს ნაშრომის შინაარსს. მასში უნდა გამოიყოს თავები და პარაგრაფები;

ვ) დასკვნა – უნდა წარმოადგენდეს კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს;

ზ) გამოყენებული ლიტერატურა – გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით;

თ) საილუსტრაციო მასალა.

5. პლაგიატის ან დისერტანტის მიერ სადისერტაციო მასალებისა და დოკუმენტების გაყალბების დადგენის შემთხვევაში დისერტაცია იხსნება განხილვიდან.

მუხლი 5. დისერტაციის წარდგენა

1. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების (სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის) შესრულების შემდეგ, იმ დარგობრივ დეპარტამენტში, სადაც შესრულდა სადოქტორო პროგრამა, ხდება სადისერტაციო ნაშრომის განხილვა (აპრობაცია). ნაშრომის აპრობაცია მოიცავს დოქტორანტის მოხსენებას, ორი რეცენზენტის (რეცენზენტი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ მონაწილეობდა სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში) შეფასებას და დისკუსიას.

2. ნაშრომის წინასწარ დაცვაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში ნაშრომი ხარვეზის შესავსებად უბრუნდება დოქტორანტს.

3. ნაშრომი დადებითი შეფასების შემდეგ წარედგინება სადისერტაციო საბჭოს, აპრობაციიდან (წინასწარი დაცვა) არაუგვიანეს 6(ექვსი) თვისა.

4. დეპარტამენტის დასკვნა წინასწარი დაცვის შესახებ ფორმდება სხდომის ოქმის სახით, მტკიცდება დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ და გადაეცემა დოქტორანტს, რომელიც დისერტაციასთან ერთად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს. დოქტორანტი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის ნაბეჭდ (აკინძული და ყდაში ჩასმული) 6 ეგზემპლიარს და ელექტრონულ ვერსიას (CD დისკზე).

5. დისერტაციას თან ერთვის დოქტორანტის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ ნაშრომი მის მიერაა შესრულებული და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.

6. დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს დასკვნას იმის თაობაზე, რომ სადისერტაციო ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.

მუხლი 6. დისერტაციის წინასწარი შეფასება

1.სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციას გადასცემს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს, რამდენად შეესაბამება დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები აღნიშნულ მოთხოვნებს და 10 დღის ვადაში წარუდგენს დასკვნას სადისერტაციო საბჭოს.

3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დისერტაციისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (დანართი 1) წარდგენის შემდეგ, 10 (ათი) დღის ვადაში გამოყოფს 3 შემფასებელს, რომელთაც სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

2. შემფასებელი უნდა იყოს მეცნიერების იმ დარგის/მიმართულების წარმომადგენელი, რომელშიც შესრულებულია დისერტაცია.

3. შემფასებელი არ შეძლება იყოს დოქტორანტის ხელმძღვანელი ან დოქტორანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი.

4. თუ შემფასებლების ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.

5. შემფასებლებმა თავიანთი წერილობითი დასკვნა უნდა წარმოადგინონ დისერტაციის გადაცემიდან არა უგვიანეს 1 თვისა.

6. შემფასებელები დასკვნებს გადასცემენ სადისერტაციო საბჭოს. დასკვნაში უნდა შეფასდეს ჩატარებული კვლევის აქტუალობა, სიახლე, ორიგინალობა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის დიზაინის და მეთოდოლოგიის ადეკვატურობა, კვლევის პირველადი მასალის ობიექტურობა და სარწმუნოობა, დისერტაციის სტრუქტურა, გაფორმების ხარისხი და ენობრივი გამართულობა. დისერტაციის საჯარო დაცვისათვის სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის მიზნით, დასკვნაში მიეთითება სადისერტაციო თემატიკასთან დაკავშირებული ძირითადი და მომიჯნავე სპეციალობები.

7. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების, ან არ დაშვების შესახებ.

8. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს შემფასებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დაცვის თარიღი. შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე დოქტორანტს დაცვისათვის მოსამზადებლად ეძლევა არანაკლებ 1 თვე.

9. დაცვაზე არ დაშვების შემთხვევაში, დისერტაცია და შემფასებლების წერილობითი დასკვნები ინახება სადისერტაციო საბჭოში. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტებს.

მუხლის 7. სადისერტაციო კომისია

1. სადისერტაციო საბჭო დისერტაციის დაცვის წინ ქმნის სადისერტაციო კომისიას.

2. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას, კომისიის თავმჯდომარეს, დისერტაციის თემატიკისა და შემფასებელთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, საბჭოს წევრთაგან სიითი შემადგენ-ლობის უმრავლესობით, ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

3. სადისერტაციო კომისიის წევრად შეიძლება მოწვეულ იქნას შესაბამისი დარგის დოქ-ტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირიც.

4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს და შემფასებლებს აქვთ კომისიაში სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება.

5. კომისია შედგება მინიმუმ თერთმეტი წევრისაგან (ზოგადად, კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კენტი რიცხვით), რომელთაც აქვთ ხმის მიცემის უფლება.

6. სადისერტაციო კომისიის წევრებს დისერტაციის ელექტრონული ვერსია დაურიგდე-ბათ დაცვამდე ერთი თვით ადრე. ასევე განთავსდება ბსუ–ს ვებ გვერდზე და გადაეცემა ბსუ–ს ბიბლიოთეკას.

7. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მო-ნაწილეობს კომისიის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი.

8. სადისერტაციო საბჭოს მიერ თითოეული კომისიისათვის ერთ დღეს შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს ერთი დაცვისა.

მუხლი 8. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო.

2. დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. დაცვის პროცესი (პროცედურა) ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო კამათს და სადისერტაციო კომისიის დასკვნას. კერძოდ:

ა) მდივნის ინფორმაციას დოქტორანტის შესახებ;

ბ) სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენას (20-30წუთი);

ბ) შეკითხვებს დოქტორანტისადმი, აზრის გამოთქმას, სამეცნიერო დისკუსიას;

გ) მდივნის ინფორმაციას დისერტაციის ირგვლივ არსებულ დოკუმენტაციასთან დაკავ-შირებით;

დ) შემფასებელთა გამოსვლას და სადისერტაციო ნაშრომის სრულყოფილ ანალიზს;

ე) დოქტორანტის პასუხს დასმულ შეკითხვებზე, რეკომენდაციებსა და შენიშვნებზე;

ვ) სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის შემაჯამებელ შეფასებას;

ზ) სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას ფარული კენჭისყრით.

მუხლი 9. დისერტაციის შეფასება

1. დისერტაციის შეფასების კრიტერიუმებია:

ა) საკვლევი თემის აქტუალობა;

ბ) კვლევის მეთოდების გამოყენების სათანადო დონე;

გ) კვლევის საგანთან და ობიექტთან მათი შესაბამისობა;

დ) მეცნიერული სიახლე;

ე) მოცემული დარგის განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი;

ვ) შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობების დასაბუთება;

2. სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეულ ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს- მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50%;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.

3. ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო, დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

4. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება ერთი წლის შემდეგ.

5. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

6. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე, დოქტორანტს კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, ოქმიდან ამონარიდის სახით, აცნობს ზეპირად და ასევე ეგზავნება წერილობით.

მუხლის 10. ხარისხის მინიჭება

1. სადისერტაციო კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად – მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

მუხლი 11. დიპლომის გაფორმება და გადაცემა

1. დიპლომი სტანდარტულ დანართთან ერთად გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ, არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს ეძლევა შესაბამისი ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

2. დიპლომს ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ფაკულტეტის დეკანი, ბსუ–ს რექტორი.

3. გაცემული დიპლომის და შესაბამისი დანართის ასლი ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

მუხლი 12. დისერტაციის გამოქვეყნება

დოქტორანტი ვალდებულია დისერტაციის დაცვის შემდეგ, სამი თვის ვადაში, გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასზე არ გაიცემა დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი.

მუხლი 13. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნება ცნობილი დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე ამავე საბჭოს გადაწყვეტილება (ჩამოერთმევა ხარისხი), თუკი დადასტურდება პლაგიატობა ან სადისერტაციო საქმისწარმოების დროს დოქტორანტის მიერ არასწორი მონაცემების წარდგენა.

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

1. ამ დებულების მოთხოვნები ძალაშია 2013–2014 სასწავლო წლიდან.

2. ამ დებულების ამოქმედებამდე სადისერტაციო საბჭოს საქმიანობა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება განხორციელდეს 2012–2013 სასწავლო წლისათვის მოქმედი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.

3. 2010-2011 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისათვის დისერტაციის წარდგენისა და დაცვის პროცედურა განხორციელდეს ამ დებულების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და მისი ძირითადი შედეგების გამოქვეყნება კი განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 8 ოქტომბრის №88 დადგენილებით დამტკიცებული შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" დებულების მიხედვით, მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 1 ნოემბრისა.

დანართი 2

დ ე ბ უ ლ ე ბ ა
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში – ფაკულტეტი) სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესსა და პირობებს.

2. დოქტორის აკადემიური ხარისხი შეიძლება მიენიჭოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელმაც გაიარა დოქტორანტურის სრული კურსი და წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით დაიცვა დისერტაცია.

მუხლი 2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო (შემდგომში - სადისერტაციო საბჭო) არის ფილოლოგიაში (ა.ენათმეცნიერებასა და ბ.ლიტერატურათმცოდნეობაში), ისტორიასა და არქეოლოგიაში აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.

2. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორი.

3. საბჭოს გადაწყვეტილებით საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული პირები.

4. საბჭოს ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - საბჭოს თავმჯდომარე), რომელიც აირჩევა ფარული კენჭისყრით, ორი წლის ვადით, სადისერტაციო საბჭოს პირველ სხდომაზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს ამტკიცებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო (შემდგომში - აკადემიური საბჭო).

5. საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.

6. საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება არჩეული იქნეს ბსუ–ს სრული ან ასოცირებული პროფესორი. ერთი და იგივე პირი საბჭოს თავმჯდომარედ ზედიზედ შეიძლება არჩეული იქნეს მხოლოდ ორჯერ.

7. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს საბჭოს წევრთაგან შერჩეულ მოადგილეს და მდივანს;

ბ) იწვევს და უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომებს.

გ) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას ბსუ–ს ვებ-გვერდზე.

8. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი;

9. საბჭოს მდივანი:

ა) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას:

ბ) აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს.

გ) ხელმძღვანელობს საქმის წარმოებასა და უზრუნველყოფს საბჭოს დოკუმენტაციის შენახვას;

დ) კონსულტაციას უწევს დოქტორანტებს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდგომ სათანადო დოკუმენტების მომზადებაში.

მუხლი 3. სადისერტაციო საბჭოს სხდომები და ფუნქციები

1.სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიღებულია თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა 2/3. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით.

2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

3. სადისერტაციო საბჭო:

ა) იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სადისერტაციო თემისა და ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ბ) ნიშნავს შემფასებლებსა და დისერტაციის დაცვის თარიღს.

გ) საბჭოს შემადგენლობიდან განსაზღვრავს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას;

დ) სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე პირს ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

მუხლი 4. დისერტაცია

1.სადისერტაციო ნაშრომს წარედგინება შემდეგი მოთხოვნები:

ა) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ნაშრომის მომზადება უნდა მოხდეს ამ დებულებით დადგენილი წესით.

ბ) დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს, შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი კვლევისას.

გ) დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის სადისერტაციო საბჭოზე წარდგენის წინაპირობაა:

ა) სადისერტაციო ნაშრომზე საერთაშორისო გამოხმაურების არსებობა. შესაბამისად, ბსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტმა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსთან თანამშრომლობით უნდა შექმნას უცხოელ ექსპერტთა მონაცემების საინფორმაციო ბაზა და უზრუნველყოს დისერტაციის შემოკლებული, დოქტორანტის მიერ უცხო ენაზე თარგმნილი ვარიანტის (30-50 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირება. სადისერტაციო ნაშრომის უცხო ენოვან ვარიანტთან შესაბამისობაზე პასუხისგებელია დოქტორანტი.

ბ) დოქტორანტის მიერ სადოქტორო თემაზე შესრულებული მინიმუმ ხუთი ნაშრომი/სტატია უნდა იყოს დაბეჭდილი ან დასაბეჭდად მიღებული საზღვარგარეთ ან საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ ან ბეჭდურ ჟურნალში, ან შესაბამის საერთაშორისო დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში, მათ შორის, ერთი სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული 0,5-ზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.

3. სადისერტაციო ნაშრომის ტენიკური პარამეტრებია: ზღვრული მოცულობა - 150--200 გვ. (არაუმეტეს 400 000 ასო-ნიშანი); დასკვნა – 10-12 გვ; ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი; ფურცლის ზომა - A /4; ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს 12-იანი შრიფტით, შრიფტის სახეობა – Sylfaen, სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 3 სმ., მარჯვნიდან – 1,5 სმ., ზემოდან – 2,5 სმ., ქვემოდან – 2,5 სმ.

4. დისერტაცია უნდა დაიბეჭდოს და აიკინძოს დადგენილი სტრუქტურით. აღნიშნულ სტრუქტურაში იგულისხმება:

ა) თავფურცელზე, დისერტაციის პირველ გვერდზე, ზემოთ უნდა მიეთითოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება - სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

ბ) მომდევნო ხაზებზე 1,5 ინტერვალის დაშორებით ფაკულტეტისა და დეპარტამენტის დასახელება, შემდეგ იწერება დოქტორანტის სახელი და გვარი, შუა ნაწილში – დისერტაციის სათაური (შრიფტის ზომა 16), ამის შემდეგ - ფრჩხილებში, საძიებელი აკადემიური ხარისხი, მის ქვემოთ, მარჯვენა მხარესთან ახლოს, - დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის აკადემიური თანამდებობა/ აკადემიური ხარისხი, ინიციალები და გვარი. თავფურცლის ბოლოს მიეთითება შესრულების ადგილი და ნაშრომის წარდგენის წელი (მაგ: ბათუმი - 2013);

გ) სარჩევში თანმიმდევრულად უნდა აისახოს დისერტაციის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება გვერდების მითითებით;

დ) შესავალი – მასში წარმოდგენილი უნდა იყოს საკვლევი თემის აქტუალურობის დასაბუთება, მიზნები და ამოცანები, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

ე) ძირითადი ტექსტი უნდა ასახავდეს ნაშრომის შინაარსს. მასში უნდა გამოიყოს თავები და პარაგრაფები;

ვ) დასკვნა – უნდა წარმოადგენდეს კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს;

ზ) გამოყენებული ლიტერატურა – გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით;

თ) საილუსტრაციო მასალა.

5. პლაგიატის ან დისერტანტის მიერ სადისერტაციო მასალებისა და დოკუმენტების გაყალბების დადგენის შემთხვევაში დისერტაცია იხსნება განხილვიდან.

მუხლი 5. დისერტაციის წარდგენა

1. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების (სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის) შესრულების შემდეგ, იმ დარგობრივ დეპარტამენტში, სადაც შესრულდა სადოქტორო პროგრამა, ხდება სადისერტაციო ნაშრომის განხილვა (აპრობაცია). ნაშრომის აპრობაცია მოიცავს დოქტორანტის მოხსენებას, ორი რეცენზენტის (რეცენზენტი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ მონაწილეობდა სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში) შეფასებას და დისკუსიას.

2. ნაშრომის წინასწარ დაცვაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში ნაშრომი ხარვეზის შესავსებად უბრუნდება დოქტორანტს.

3. ნაშრომი დადებითი შეფასების შემდეგ წარედგინება სადისერტაციო საბჭოს, აპრობაციიდან (წინასწარი დაცვა) არაუგვიანეს 6(ექვსი) თვისა.

4. დეპარტამენტის დასკვნა წინასწარი დაცვის შესახებ ფორმდება სხდომის ოქმის სახით, მტკიცდება დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ და გადაეცემა დოქტორანტს, რომელიც დისერტაციასთან ერთად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს. დოქტორანტი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის ნაბეჭდ (აკინძული და ყდაში ჩასმული) 6 ეგზემპლიარს და ელექტრონულ ვერსიას (CD დისკზე).

5. დისერტაციას თან ერთვის დოქტორანტის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ ნაშრომი მის მიერაა შესრულებული და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.

6. დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს დასკვნას იმის თაობაზე, რომ სადისერტაციო ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.

მუხლი 6. დისერტაციის წინასწარი შეფასება

1.სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციას გადასცემს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს, რამდენად შეესაბამება დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები აღნიშნულ მოთხოვნებს და 10 დღის ვადაში წარუდგენს დასკვნას სადისერტაციო საბჭოს.

3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დისერტაციისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (დანართი 1) წარდგენის შემდეგ, 10 (ათი) დღის ვადაში გამოყოფს 3 შემფასებელს, რომელთაც სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

2. შემფასებელი უნდა იყოს მეცნიერების იმ დარგის/მიმართულების წარმომადგენელი, რომელშიც შესრულებულია დისერტაცია.

3. შემფასებელი არ შეძლება იყოს დოქტორანტის ხელმძღვანელი ან დოქტორანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი.

4. თუ შემფასებლების ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.

5. შემფასებლებმა თავიანთი წერილობითი დასკვნა უნდა წარმოადგინონ დისერტაციის გადაცემიდან არა უგვიანეს 1 თვისა.

6. შემფასებელები დასკვნებს გადასცემენ სადისერტაციო საბჭოს. დასკვნაში უნდა შეფასდეს ჩატარებული კვლევის აქტუალობა, სიახლე, ორიგინალობა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის დიზაინის და მეთოდოლოგიის ადეკვატურობა, კვლევის პირველადი მასალის ობიექტურობა და სარწმუნოობა, დისერტაციის სტრუქტურა, გაფორმების ხარისხი და ენობრივი გამართულობა. დისერტაციის საჯარო დაცვისათვის სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის მიზნით, დასკვნაში მიეთითება სადისერტაციო თემატიკასთან დაკავშირებული ძირითადი და მომიჯნავე სპეციალობები.

7. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების, ან არ დაშვების შესახებ.

8. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს შემფასებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დაცვის თარიღი. შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე დოქტორანტს დაცვისათვის მოსამზადებლად ეძლევა არანაკლებ 1 თვე.

9. დაცვაზე არ დაშვების შემთხვევაში, დისერტაცია და შემფასებლების წერილობითი დასკვნები ინახება სადისერტაციო საბჭოში. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტებს.

მუხლის 7. სადისერტაციო კომისია

1. სადისერტაციო საბჭო დისერტაციის დაცვის წინ ქმნის სადისერტაციო კომისიას.

2. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას, კომისიის თავმჯდომარეს, დისერტაციის თემატიკისა და შემფასებელთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, საბჭოს წევრთაგან სიითი შემადგენ-ლობის უმრავლესობით, ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

3. სადისერტაციო კომისიის წევრად შეიძლება მოწვეულ იქნას შესაბამისი დარგის დოქ-ტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირიც.

4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს და შემფასებლებს აქვთ კომისიაში სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება.

5. კომისია შედგება მინიმუმ თერთმეტი წევრისაგან (ზოგადად, კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კენტი რიცხვით), რომელთაც აქვთ ხმის მიცემის უფლება.

6. სადისერტაციო კომისიის წევრებს დისერტაციის ელექტრონული ვერსია დაურიგდე-ბათ დაცვამდე ერთი თვით ადრე. ასევე განთავსდება ბსუ–ს ვებ გვერდზე და გადაეცემა ბსუ–

ს ბიბლიოთეკას.

7. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი.

8. სადისერტაციო საბჭოს მიერ თითოეული კომისიისათვის ერთ დღეს შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს ერთი დაცვისა.

მუხლი 8. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო.

2. დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. დაცვის პროცესი (პროცედურა) ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო კამათს და სადისერტაციო კომისიის დასკვნას. კერძოდ:

ა) მდივნის ინფორმაციას დოქტორანტის შესახებ;

ბ) სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენას (20-30წუთი);

ბ) შეკითხვებს დოქტორანტისადმი, აზრის გამოთქმას, სამეცნიერო დისკუსიას;

გ) მდივნის ინფორმაციას დისერტაციის ირგვლივ არსებულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით;

დ) შემფასებელთა გამოსვლას და სადისერტაციო ნაშრომის სრულყოფილ ანალიზს;

ე) დოქტორანტის პასუხს დასმულ შეკითხვებზე, რეკომენდაციებსა და შენიშვნებზე;

ვ) სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის შემაჯამებელ შეფასებას;

ზ) სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას ფარული კენჭისყრით.

მუხლი 9. დისერტაციის შეფასება

1. დისერტაციის შეფასების კრიტერიუმებია:

ა) საკვლევი თემის აქტუალობა;

ბ) კვლევის მეთოდების გამოყენების სათანადო დონე;

გ) კვლევის საგანთან და ობიექტთან მათი შესაბამისობა;

დ) მეცნიერული სიახლე;

ე) მოცემული დარგის განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი;

ვ) შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობების დასაბუთება;

2. სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეულ ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს- მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50%;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.

3. ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო, დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

4. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება ერთი წლის შემდეგ.

5. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

6. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე, დოქტორანტს კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, ოქმიდან ამონარიდის სახით, აცნობს ზეპირად და ასევე ეგზავნება წერილობით.

მუხლის 10. ხარისხის მინიჭება

1. სადისერტაციო კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად – მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

მუხლი 11. დიპლომის გაფორმება და გადაცემა

1. დიპლომი სტანდარტულ დანართთან ერთად გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ, არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს ეძლევა შესაბამისი ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

2. დიპლომს ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ფაკულტეტის დეკანი, ბსუ–ს რექტორი.

3. გაცემული დიპლომის და შესაბამისი დანართის ასლი ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

მუხლი 12. დისერტაციის გამოქვეყნება

დოქტორანტი ვალდებულია დისერტაციის დაცვის შემდეგ, სამი თვის ვადაში, გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასზე არ გაიცემა დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი.

მუხლი 13. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნება ცნობილი დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე ამავე საბჭოს გადაწყვეტილება (ჩამოერთმევა ხარისხი), თუკი დადასტურდება პლაგიატობა ან სადისერტაციო საქმისწარმოების დროს დოქტორანტის მიერ არასწორი მონაცემების წარდგენა.

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

1. ამ დებულების მოთხოვნები ძალაშია 2013–2014 სასწავლო წლიდან.

2. ამ დებულების ამოქმედებამდე სადისერტაციო საბჭოს საქმიანობა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება განხორციელდეს 2012–2013 სასწავლო წლისათვის მოქმედი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.

3. 2010-2011 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისთვის დისერტაციის წარდგენისა და დაცვის პროცედურა განხორციელდეს ამ დებულების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და მისი ძირითადი შედეგების გამოქვეყნება კი განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 8 ოქტომბრის №88 დადგენილებით დამტკიცებული შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს

შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" დებულების მიხედვით", მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 1 ნოემბრისა.

დანართი 3

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

ბათუმი 2013 წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის** (შემდგომში – ფაკულტეტი) სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესსა და პირობებს.

2. დოქტორის აკადემიური ხარისხი შეიძლება მიენიჭოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელმაც გაიარა დოქტორანტურის სრული კურსი და წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით დაიცვა დისერტაცია.

მუხლი 2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის** ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო (შემდგომში - სადისერტაციო საბჭო) არის **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა (ბიოლოგია, გეოგრაფია, ქიმია) და ეკოლოგიაში** აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.

2. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორი.

3. საბჭოს გადაწყვეტილებით საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული პირები.

4. საბჭოს ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - საბჭოს თავმჯდომარე), რომელიც აირჩევა ფარული კენჭისყრით, ორი წლის ვადით, სადისერტაციო საბჭოს პირველ სხდომაზე, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს ამტკიცებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო (შემდგომში - აკადემიური საბჭო).

5. საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.

6. საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება არჩეული იქნეს ბსუ–ს სრული ან ასოცირებული პროფესორი. ერთი და იგივე პირი საბჭოს თავმჯდომარედ ზედიზედ შეიძლება არჩეული იქნეს მხოლოდ ორჯერ.

7. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს საბჭოს წევრთაგან შერჩეულ მოადგილეს და მდივანს;

ბ) იწვევს და უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომებს.

გ) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას ბსუ–ს ვებ-გვერდზე.

8. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი;

9. საბჭოს მდივანი:

ა) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას:

ბ) აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს.

გ) ხელმძღვანელობს საქმის წარმოებასა და უზრუნველყოფს საბჭოს დოკუმენტაციის შენახვას;

დ) კონსულტაციას უწევს დოქტორანტებს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდგომ სათანადო დოკუმენტების მომზადებაში.

მუხლი 3. სადისერტაციო საბჭოს სხდომები და ფუნქციები

1.სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიღებულია თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა 2/3. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით.

2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

3. სადისერტაციო საბჭო:

ა) იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სადისერტაციო თემისა და ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ბ) ნიშნავს შემფასებლებსა და დისერტაციის დაცვის თარიღს.

გ) საბჭოს შემადგენლობიდან განსაზღვრავს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას;

დ) სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე პირს ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

მუხლი 4. დისერტაცია

1.სადისერტაციო ნაშრომს წარედგინება შემდეგი მოთხოვნები:

ა) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ნაშრომის მომზადება უნდა მოხდეს ამ დებულებით დადგენილი წესით.

ბ) დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს, შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული,

ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი კვლევისას.

გ) დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის სადისერტაციო საბჭოზე წარდგენის წინაპირობაა:

ა) სადისერტაციო ნაშრომზე საერთაშორისო გამოხმაურების არსებობა. შესაბამისად, ბსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტმა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსთან თანამშრომლობით უნდა შექმნას უცხოელ ექსპერტთა მონაცემების საინფორმაციო ბაზა და უზრუნველყოს დისერტაციის შემოკლებული, დოქტორანტის მიერ უცხო ენაზე თარგმნილი ვარიანტის (30-50 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირება. სადისერტაციო ნაშრომის უცხო ენოვან ვარიანტთან შესაბამისობაზე პასუხისგებელია დოქტორანტი.

ბ) დოქტორანტის მიერ სადოქტორო თემაზე შესრულებული მინიმუმ ხუთი ნაშრომი/სტატია უნდა იყოს დაბეჭდილი ან დასაბეჭდად მიღებული საზღვარგარეთ ან საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ ან ბეჭდურ ჟურნალში, ან შესაბამის საერთაშორისო დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში, მათ შორის, ერთი სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული 0,5-ზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.

3. სადისერტაციო ნაშრომის ტენიკური პარამეტრებია: ზღვრული მოცულობა - 150--200 გვ. (არაუმეტეს 400 000 ასო-ნიშანი); დასკვნა – 10-12 გვ; ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი; ფურცლის ზომა - A /4; ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს 12-იანი შრიფტით, შრიფტის სახეობა – Sylfaen, სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 3 სმ., მარჯვნიდან – 1,5 სმ., ზემოდან – 2,5 სმ., ქვემოდან – 2,5 სმ.

4. დისერტაცია უნდა დაიბეჭდოს და აიკინძოს დადგენილი სტრუქტურით. აღნიშნულ სტრუქტურაში იგულისხმება:

ა) თავფურცელზე, დისერტაციის პირველ გვერდზე, ზემოთ უნდა მიეთითოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება - სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

ბ) მომდევნო ხაზებზე 1,5 ინტერვალის დაშორებით ფაკულტეტისა და დეპარტამენტის დასახელება, შემდეგ იწერება დოქტორანტის სახელი და გვარი, შუა ნაწილში – დისერტაციის სათაური (შრიფტის ზომა 16), ამის შემდეგ - ფრჩხილებში, საძიებელი აკადემიური ხარისხი, მის ქვემოთ, მარჯვენა მხარესთან ახლოს, - დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის აკადემიური თანამდებობა/ აკადემიური ხარისხი, ინიციალები და გვარი. თავფურცლის ბოლოს მიეთითება შესრულების ადგილი და ნაშრომის წარდგენის წელი (მაგ: ბათუმი - 2013);

გ) სარჩევში თანმიმდევრულად უნდა აისახოს დისერტაციის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება გვერდების მითითებით;

დ) შესავალი – მასში წარმოდგენილი უნდა იყოს საკვლევი თემის აქტუალურობის დასაბუთება, მიზნები და ამოცანები, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

ე) ძირითადი ტექსტი უნდა ასახავდეს ნაშრომის შინაარსს. მასში უნდა გამოიყოს თავები და პარაგრაფები;

ვ) დასკვნა – უნდა წარმოადგენდეს კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს;

ზ) გამოყენებული ლიტერატურა – გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით;

თ) საილუსტრაციო მასალა.

5. პლაგიატის ან დისერტანტის მიერ სადისერტაციო მასალებისა და დოკუმენტების გაყალბების დადგენის შემთხვევაში დისერტაცია იხსნება განხილვიდან.

მუხლი 5. დისერტაციის წარდგენა

1. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების (სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის) შესრულების შემდეგ, იმ დარგობრივ დეპარტამენტში, სადაც შესრულდა სადოქტორო პროგრამა, ხდება სადისერტაციო ნაშრომის განხილვა (აპრობაცია). ნაშრომის აპრობაცია მოიცავს დოქტორანტის მოხსენებას, ორი რეცენზენტის (რეცენზენტი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ მონაწილეობდა სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში) შეფასებას და დისკუსიას.

2. ნაშრომის წინასწარ დაცვაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში ნაშრომი ხარვეზის შესავსებად უბრუნდება დოქტორანტს.

3. ნაშრომი დადებითი შეფასების შემდეგ წარედგინება სადისერტაციო საბჭოს, აპრობაციიდან (წინასწარი დაცვა) არაუგვიანეს 6(ექვსი) თვისა.

4. დეპარტამენტის დასკვნა წინასწარი დაცვის შესახებ ფორმდება სხდომის ოქმის სახით, მტკიცდება დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ და გადაეცემა დოქტორანტს, რომელიც დისერტაციასთან ერთად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს. დოქტორანტი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის ნაბეჭდ (აკინძული და ყდაში ჩასმული) 6 ეგზემპლიარს და ელექტრონულ ვერსიას (CD დისკზე).

5. დისერტაციას თან ერთვის დოქტორანტის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ ნაშრომი მის მიერაა შესრულებული და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.

6. დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს დასკვნას იმის თაობაზე, რომ სადისერტაციო ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.

მუხლი 6. დისერტაციის წინასწარი შეფასება

1.სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციას გადასცემს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს, რამდენად შეესაბამება დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები აღნიშნულ მოთხოვნებს და 10 დღის ვადაში წარუდგენს დასკვნას სადისერტაციო საბჭოს.

3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დისერტაციისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (დანართი 1) წარდგენის შემდეგ, 10 (ათი) დღის ვადაში გამოყოფს 3 შემფასებელს, რომელთაც სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

2. შემფასებელი უნდა იყოს მეცნიერების იმ დარგის/მიმართულების წარმომადგენელი, რომელშიც შესრულებულია დისერტაცია.

3. შემფასებელი არ შეძლება იყოს დოქტორანტის ხელმძღვანელი ან დოქტორანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი.

4. თუ შემფასებლების ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.

5. შემფასებლებმა თავიანთი წერილობითი დასკვნა უნდა წარმოადგინონ დისერტაციის გადაცემიდან არა უგვიანეს 1 თვისა.

6. შემფასებელები დასკვნებს გადასცემენ სადისერტაციო საბჭოს. დასკვნაში უნდა შეფასდეს ჩატარებული კვლევის აქტუალობა, სიახლე, ორიგინალობა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის დიზაინის და მეთოდოლოგიის ადეკვატურობა, კვლევის პირველადი მასალის ობიექტურობა და სარწმუნოობა, დისერტაციის სტრუქტურა, გაფორმების ხარისხი და ენობრივი გამართულობა. დისერტაციის საჯარო დაცვისათვის სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის მიზნით, დასკვნაში მიეთითება სადისერტაციო თემატიკასთან დაკავშირებული ძირითადი და მომიჯნავე სპეციალობები.

7. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების, ან არ დაშვების შესახებ.

8. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს შემფასებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დაცვის თარიღი. შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე დოქტორანტს დაცვისათვის მოსამზადებლად ეძლევა არანაკლებ 1 თვე.

9. დაცვაზე არ დაშვების შემთხვევაში, დისერტაცია და შემფასებლების წერილობითი დასკვნები ინახება სადისერტაციო საბჭოში. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტებს.

მუხლის 7. სადისერტაციო კომისია

1. სადისერტაციო საბჭო დისერტაციის დაცვის წინ ქმნის სადისერტაციო კომისიას.

2. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას, კომისიის თავმჯდომარეს, დისერტაციის თემატიკისა და შემფასებელთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, საბჭოს წევრთაგან სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

3. სადისერტაციო კომისიის წევრად შეიძლება მოწვეულ იქნას შესაბამისი დარგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირიც.

4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს და შემფასებლებს აქვთ კომისიაში სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება.

5. კომისია შედგება მინიმუმ თერთმეტი წევრისაგან (ზოგადად, კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კენტი რიცხვით), რომელთაც აქვთ ხმის მიცემის უფლება.

6. სადისერტაციო კომისიის წევრებს დისერტაციის ელექტრონული ვერსია დაურიგდებათ დაცვამდე ერთი თვით ადრე. ასევე განთავსდება ბსუ–ს ვებ გვერდზე და გადაეცემა ბსუ–ს ბიბლიოთეკას.

7. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს კომისიის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი.

8. სადისერტაციო საბჭოს მიერ თითოეული კომისიისათვის ერთ დღეს შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს ერთი დაცვისა.

მუხლი 8. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო.

2. დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. დაცვის პროცესი (პროცედურა) ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო კამათს და სადისერტაციო კომისიის დასკვნას. კერძოდ:

ა) მდივნის ინფორმაციას დოქტორანტის შესახებ;

ბ) სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენას (20-30წუთი);

ბ) შეკითხვებს დოქტორანტისადმი, აზრის გამოთქმას, სამეცნიერო დისკუსიას;

გ) მდივნის ინფორმაციას დისერტაციის ირგვლივ არსებულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით;

დ) შემფასებელთა გამოსვლას და სადისერტაციო ნაშრომის სრულყოფილ ანალიზს;

ე) დოქტორანტის პასუხს დასმულ შეკითხვებზე, რეკომენდაციებსა და შენიშვნებზე;

ვ) სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის შემაჯამებელ შეფასებას;

ზ) სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას ფარული კენჭისყრით.

მუხლი 9. დისერტაციის შეფასება

1. დისერტაციის შეფასების კრიტერიუმებია:

ა) საკვლევი თემის აქტუალობა;

ბ) კვლევის მეთოდების გამოყენების სათანადო დონე;

გ) კვლევის საგანთან და ობიექტთან მათი შესაბამისობა;

დ) მეცნიერული სიახლე;

ე) მოცემული დარგის განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი;

ვ) შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობების დასაბუთება;

2. სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეულ ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს- მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50%;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.

3. ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო, დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

4. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება ერთი წლის შემდეგ.

5. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

6. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე, დოქტორანტს კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, ოქმიდან ამონარიდის სახით, აცნობს ზეპირად და ასევე ეგზავნება წერილობით.

მუხლის 10. ხარისხის მინიჭება

1. სადისერტაციო კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად – მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

მუხლი 11. დიპლომის გაფორმება და გადაცემა

1. დიპლომი სტანდარტულ დანართთან ერთად გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ, არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს ეძლევა შესაბამისი ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

2. დიპლომს ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ფაკულტეტის დეკანი, ბსუ–ს რექტორი.

3. გაცემული დიპლომის და შესაბამისი დანართის ასლი ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

მუხლი 12. დისერტაციის გამოქვეყნება

დოქტორანტი ვალდებულია დისერტაციის დაცვის შემდეგ, სამი თვის ვადაში, გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასზე არ გაიცემა დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი.

მუხლი 13. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნება ცნობილი დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე ამავე საბჭოს გადაწყვეტილება (ჩამოერთმევა ხარისხი), თუკი დადასტურდება პლაგიატობა ან სადისერტაციო საქმისწარმოების დროს დოქტორანტის მიერ არასწორი მონაცემების წარდგენა.

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

1. ამ დებულების მოთხოვნები ძალაშია 2013–14 სასწავლო წლიდან.

2. ამ დებულების ამოქმედებამდე სადისერტაციო საბჭოს საქმიანობა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება განხორციელდეს 2012–2013 სასწავლო წლისათვის მოქმედი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.
3. 2010-2011 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისთვის დისერტაციის წარდგენისა და დაცვის პროცედურა განხორციელდეს ამ დებულების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და მისი ძირითადი შედეგების გამოქვეყნება კი განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 8 ოქტომბრის №88 დადგენილებით დამტკიცებული შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" დებულების მიხედვით", მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 1 ნოემბრისა.

დანართი 4

დ ე ბ უ ლ ე ბ ა
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ განათლების ფაკულტეტის (შემდგომში – ფაკულტეტი) სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების წესსა და პირობებს.

2. დოქტორის აკადემიური ხარისხი შეიძლება მიენიჭოს საქართველოს ან სხვა ქვეყნის მოქალაქეს, რომელმაც გაიარა დოქტორანტურის სრული კურსი და წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით დაიცვა დისერტაცია.

მუხლი 2. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო, საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი

1. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო (შემდგომში - სადისერტაციო საბჭო) არის განათლების დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო, რომელიც იქმნება ფაკულტეტზე.

2. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში შედის ფაკულტეტის ყველა სრული და ასოცირებული პროფესორი.

3. საბჭოს გადაწყვეტილებით საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული პირები.

4. საბჭოს ხელმძღვანელობს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - საბჭოს თავმჯდომარე), რომელიც აირჩევა ფარული კენჭისყრით, ორი წლის ვადით, სადისერტაციო საბჭოს პირველ სხდომაზე, სიით შემადგენლობის უმრავლესობით. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს ამტკიცებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო (შემდგომში - აკადემიური საბჭო).

5. საბჭოს თავმჯდომარის არჩევამდე საბჭოს პირველ სხდომას უძღვება ფაკულტეტის დეკანი.

6. საბჭოს თავმჯდომარედ შეიძლება არჩეული იქნეს ბსუ–ს სრული ან ასოცირებული პროფესორი. ერთი და იგივე პირი საბჭოს თავმჯდომარედ ზედიზედ შეიძლება არჩეული იქნეს მხოლოდ ორჯერ.

7. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:

ა) სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს საბჭოს წევრთაგან შერჩეულ მოადგილეს და მდივანს;

ბ) იწვევს და უძღვება სადისერტაციო საბჭოს სხდომებს.

გ) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნებას ბსუ–ს ვებ-გვერდზე.

8. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი;

9. საბჭოს მდივანი:

ა) უზრუნველყოფს სადისერტაციო საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას:

ბ) აწარმოებს სადისერტაციო საბჭოს სხდომის ოქმებს.

გ) ხელმძღვანელობს საქმის წარმოებასა და უზრუნველყოფს საბჭოს დოკუმენტაციის შენახვას;

დ) კონსულტაციას უწევს დოქტორანტებს დისერტაციის დაცვამდე და დაცვის შემდგომ სათანადო დოკუმენტების მომზადებაში.

მუხლი 3. სადისერტაციო საბჭოს სხდომები და ფუნქციები

1.სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სადისერტაციო საბჭო უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება სიით შემადგენლობის უმრავლესობა. გადაწყვეტილება მიღებულია თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა 2/3. გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით.

2. სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

3. სადისერტაციო საბჭო:

ა) იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტის სადისერტაციო თემისა და ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიურ საბჭოს;

ბ) ნიშნავს შემფასებლებსა და დისერტაციის დაცვის თარიღს.

გ) საბჭოს შემადგენლობიდან განსაზღვრავს სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას;

დ) სადისერტაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე პირს ანიჭებს დოქტორის აკადემიურ ხარისხს.

მუხლი 4. დისერტაცია

1.სადისერტაციო ნაშრომს წარედგინება შემდეგი მოთხოვნები:

ა) დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ნაშრომის მომზადება უნდა მოხდეს ამ დებულებით დადგენილი წესით.

ბ) დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ შედეგებს, შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს და წვლილი შეჰქონდეს დარგის განვითარებაში. თუ დოქტორანტი კვლევით ჯგუფშია ჩართული, ნათლად უნდა ჩანდეს მისი წვლილი კვლევისას.

გ) დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

2. სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის სადისერტაციო საბჭოზე წარდგენის წინაპირობაა:

ა) სადისერტაციო ნაშრომზე საერთაშორისო გამოხმაურების არსებობა. შესაბამისად, ბსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტმა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსთან თანამშრომლობით უნდა შექმნას უცხოელ ექსპერტთა მონაცემების საინფორმაციო ბაზა და უზრუნველყოს დისერტაციის შემოკლებული, დოქტორანტის მიერ უცხო ენაზე თარგმნილი ვარიანტის (30-50 გვერდი) საერთაშორისო რეცენზირება. სადისერტაციო ნაშრომის უცხო ენოვან ვარიანტთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია დოქტორანტი.

ბ) დოქტორანტის მიერ სადოქტორო თემაზე შესრულებული მინიმუმ ხუთი ნაშრომი/სტატია უნდა იყოს დაბეჭდილი ან დასაბეჭდად მიღებული საზღვარგარეთ ან საქართველოში გამოცემულ და შესაბამის საერთაშორისო კლასიფიკატორში დაფიქსირებულ რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ ან ბეჭდურ ჟურნალში, ან შესაბამის საერთაშორისო დარგობრივ სამეცნიერო ჟურნალში, ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში, მათ შორის, ერთი სტატია უნდა იყოს გამოქვეყნებული 0,5-ზე მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში.

3. სადისერტაციო ნაშრომის ტექნიკური პარამეტრებია: ზღვრული მოცულობა - 150--200 გვ. (არაუმეტეს 400 000 ასო-ნიშანი); დასკვნა – 10-12 გვ; ნაშრომს თან უნდა ერთვოდეს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი; ფურცლის ზომა - A /4; ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს 12-იანი შრიფტით, შრიფტის სახეობა – Sylfaen, სტრიქონებს შორის მანძილი – 1,5; გვერდის საზღვრები: მარცხნიდან 3 სმ., მარჯვნიდან – 1,5 სმ., ზემოდან – 2,5 სმ., ქვემოდან – 2,5 სმ.

4. დისერტაცია უნდა დაიბეჭდოს და აიკინძოს დადგენილი სტრუქტურით. აღნიშნულ სტრუქტურაში იგულისხმება:

ა) თავფურცელზე, დისერტაციის პირველ გვერდზე, ზემოთ უნდა მიეთითოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება - სსიპ ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.

ბ) მომდევნო ხაზებზე 1,5 ინტერვალის დაშორებით ფაკულტეტისა და დეპარტამენტის დასახელება, შემდეგ იწერება დოქტორანტის სახელი და გვარი, შუა ნაწილში – დისერტაციის სათაური (შრიფტის ზომა 16), ამის შემდეგ - ფრჩხილებში, საძიებელი აკადემიური ხარისხი, მის ქვემოთ, მარჯვენა მხარესთან ახლოს, - დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის აკადემიური თანამდებობა/ აკადემიური ხარისხი, ინიციალები და გვარი. თავფურცლის ბოლოს მიეთითება შესრულების ადგილი და ნაშრომის წარდგენის წელი (მაგ: ბათუმი - 2013);

გ) სარჩევში თანმიმდევრულად უნდა აისახოს დისერტაციის სრული ტექსტის ყველა თავისა და პარაგრაფის ზუსტი დასახელება გვერდების მითითებით;

დ) შესავალი – მასში წარმოდგენილი უნდა იყოს საკვლევი თემის აქტუალურობის დასაბუთება, მიზნები და ამოცანები, კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

ე) ძირითადი ტექსტი უნდა ასახავდეს ნაშრომის შინაარსს. მასში უნდა გამოიყოს თავები და პარაგრაფები;

ვ) დასკვნა – უნდა წარმოადგენდეს კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველ ნაწილს;

ზ) გამოყენებული ლიტერატურა – გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა უნდა მიეთითოს ანბანური თანმიმდევრობით;

თ) საილუსტრაციო მასალა.

5. პლაგიატის ან დისერტანტის მიერ სადისერტაციო მასალებისა და დოკუმენტების გაყალბების დადგენის შემთხვევაში დისერტაცია იხსნება განხილვიდან.

მუხლი 5. დისერტაციის წარდგენა

1. სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების (სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტის) შესრულების შემდეგ, იმ დარგობრივ დეპარტამენტში, სადაც შესრულდა სადოქტორო პროგრამა, ხდება სადისერტაციო ნაშრომის განხილვა (აპრობაცია). ნაშრომის აპრობაცია მოიცავს დოქტორანტის მოხსენებას, ორი რეცენზენტის (რეცენზენტი შეიძლება იყოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც არ მონაწილეობდა სადისერტაციო ნაშრომის შესრულებაში) შეფასებას და დისკუსიას.

2. ნაშრომის წინასწარ დაცვაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში ნაშრომი ხარვეზის შესავსებად უბრუნდება დოქტორანტს.

3. ნაშრომი დადებითი შეფასების შემდეგ წარედგინება სადისერტაციო საბჭოს, აპრობაციიდან (წინასწარი დაცვა) არაუგვიანეს 6(ექვსი) თვისა.

4. დეპარტამენტის დასკვნა წინასწარი დაცვის შესახებ ფორმდება სხდომის ოქმის სახით, მტკიცდება დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ და გადაეცემა დოქტორანტს, რომელიც დისერტაციასთან ერთად წარუდგენს სადისერტაციო საბჭოს. დოქტორანტი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს სადისერტაციო ნაშრომის ნაბეჭდ (აკინძული და ყდაში ჩასმული) 6 ეგზემპლიარს და ელექტრონულ ვერსიას (CD დისკზე).

5. დისერტაციას თან ერთვის დოქტორანტის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ ნაშრომი მის მიერაა შესრულებული და ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდაა მითითებული.

6. დისერტაციის დაცვაზე დასაშვებად დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი სადისერტაციო საბჭოს წარუდგენს დასკვნას იმის თაობაზე, რომ სადისერტაციო ნაშრომი მზად არის საჯარო განხილვაზე წარსადგენად.

მუხლი 6. დისერტაციის წინასწარი შეფასება

1.სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციას გადასცემს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

2. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განიხილავს, რამდენად შეესაბამება დოქტორანტის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები აღნიშნულ მოთხოვნებს და 10 დღის ვადაში წარუდგენს დასკვნას სადისერტაციო საბჭოს.

3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე დისერტაციისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (დანართი 1) წარდგენის შემდეგ, 10 (ათი) დღის ვადაში გამოყოფს 3 შემფასებელს, რომელთაც სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

2. შემფასებელი უნდა იყოს მეცნიერების იმ დარგის/მიმართულების წარმომადგენელი, რომელშიც შესრულებულია დისერტაცია.

3. შემფასებელი არ შეძლება იყოს დოქტორანტის ხელმძღვანელი ან დოქტორანტის მიერ შესრულებულ ნაშრომთა თანაავტორი.

4. თუ შემფასებლების ნახევარზე მეტი უარყოფითად შეაფასებს დისერტაციას, დისერტაცია დაცვაზე დაშვებული არ იქნება.

5. შემფასებლებმა თავიანთი წერილობითი დასკვნა უნდა წარმოადგინონ დისერტაციის გადაცემიდან არა უგვიანეს 1 თვისა.

6. შემფასებელები დასკვნებს გადასცემენ სადისერტაციო საბჭოს. დასკვნაში უნდა შეფასდეს ჩატარებული კვლევის აქტუალობა, სიახლე, ორიგინალობა, თეორიული და პრაქტიკული ღირებულება, კვლევის დიზაინის და მეთოდოლოგიის ადეკვატურობა, კვლევის პირველადი მასალის ობიექტურობა და სარწმუნოობა, დისერტაციის სტრუქტურა, გაფორმების ხარისხი და ენობრივი გამართულობა. დისერტაციის საჯარო დაცვისათვის სადისერტაციო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრის მიზნით, დასკვნაში მიეთითება სადისერტაციო თემატიკასთან დაკავშირებული ძირითადი და მომიჯნავე სპეციალობები.

7. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების, ან არ დაშვების შესახებ.

8. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს შემფასებლების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ. დაცვაზე დაშვების შემთხვევაში, შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დაცვის თარიღი. შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე დოქტორანტს დაცვისათვის მოსამზადებლად ეძლევა არანაკლებ 1 თვე.

9. დაცვაზე არ დაშვების შემთხვევაში, დისერტაცია და შემფასებლების წერილობითი დასკვნები ინახება სადისერტაციო საბჭოში. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტებს.

მუხლის 7. სადისერტაციო კომისია

1. სადისერტაციო საბჭო დისერტაციის დაცვის წინ ქმნის სადისერტაციო კომისიას.

2. სადისერტაციო კომისიის შემადგენლობას, კომისიის თავმჯდომარეს, დისერტაციის თემატიკისა და შემფასებელთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინებით, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით, საბჭოს წევრთაგან სიითი შემადგენ-ლობის უმრავლესობით, ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო.

3. სადისერტაციო კომისიის წევრად შეიძლება მოწვეულ იქნას შესაბამისი დარგის დოქ-ტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირიც.

4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელს და შემფასებლებს აქვთ კომისიაში სათათბირო ხმით მონაწილეობის უფლება.

5. კომისია შედგება მინიმუმ თერთმეტი წევრისაგან (ზოგადად, კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება კენტი რიცხვით), რომელთაც აქვთ ხმის მიცემის უფლება.

6. სადისერტაციო კომისიის წევრებს დისერტაციის ელექტრონული ვერსია დაურიგდე-ბათ დაცვამდე ერთი თვით ადრე. ასევე განთავსდება ბსუ–ს ვებ გვერდზე და გადაეცემა ბსუ–ს ბიბლიოთეკას.

7. სადისერტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილად ითვლება, თუ მის მუშაობაში მო-ნაწილეობს კომისიის წევრთა სულ ცოტა ორი მესამედი.

8. სადისერტაციო საბჭოს მიერ თითოეული კომისიისათვის ერთ დღეს შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს ერთი დაცვისა.

მუხლი 8. დისერტაციის დაცვა

1. დისერტაციის დაცვა არის საჯარო.

2. დაცვის ენა არის ქართული, თუ სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

3. დაცვის პროცესი (პროცედურა) ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ ნაშრომის პრეზენტაციას, სამეცნიერო კამათს და სადისერტაციო კომისიის დასკვნას. კერძოდ:

ა) მდივნის ინფორმაციას დოქტორანტის შესახებ;

ბ) სადისერტაციო ნაშრომის წარმოდგენას (20-30წუთი);

ბ) შეკითხვებს დოქტორანტისადმი, აზრის გამოთქმას, სამეცნიერო დისკუსიას;

გ) მდივნის ინფორმაციას დისერტაციის ირგვლივ არსებულ დოკუმენტაციასთან დაკავ-შირებით;

დ) შემფასებელთა გამოსვლას და სადისერტაციო ნაშრომის სრულყოფილ ანალიზს;

ე) დოქტორანტის პასუხს დასმულ შეკითხვებზე, რეკომენდაციებსა და შენიშვნებზე;

ვ) სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარის შემაჯამებელ შეფასებას;

ზ) სადისერტაციო ნაშრომის შეფასებას ფარული კენჭისყრით.

მუხლი 9. დისერტაციის შეფასება

1. დისერტაციის შეფასების კრიტერიუმებია:

ა) საკვლევი თემის აქტუალობა;

ბ) კვლევის მეთოდების გამოყენების სათანადო დონე;

გ) კვლევის საგანთან და ობიექტთან მათი შესაბამისობა;

დ) მეცნიერული სიახლე;

ე) მოცემული დარგის განვითარებაში დისერტანტის მიერ შეტანილი წვლილი;

ვ) შედეგების პრაქტიკული რეალიზაციის შესაძლებლობების დასაბუთება;

2. სადისერტაციო კომისიის წევრების მიერ დისერტაციის შეფასება ხდება კონფიდენციალურად, ასქულიანი სისტემით. დისერტაციის საბოლოო შეფასებისათვის სადისერტაციო კომისიის მიერ არჩეულ ხმის დამთვლელ კომისიას გამოყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელსაც შეუფარდებს ლათინურ შეფასებას შემდეგი სქემის მიხედვით:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს- მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 41-50%;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები.

3. ფრიადი, ძალიან კარგი, კარგი, საშუალო, დამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

4. არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება ერთი წლის შემდეგ.

5. სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

6. სადისერტაციო კომისიის თავმჯდომარე, დოქტორანტს კომისიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას, ოქმიდან ამონარიდის სახით, აცნობს ზეპირად და ასევე ეგზავნება წერილობით.

მუხლის 10. ხარისხის მინიჭება

1. სადისერტაციო კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში დოქტორანტს აკადემიურ ხარისხს ანიჭებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო.

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხის ფორმირება ხდება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს შესაბამისად – მიმართულების ან/და დარგის/სპეციალობის მითითებით.

მუხლი 11. დიპლომის გაფორმება და გადაცემა

1. დიპლომი სტანდარტულ დანართთან ერთად გაიცემა დისერტაციის გამოქვეყნების შემდეგ, არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში. დიპლომის გაცემამდე დოქტორანტს ეძლევა შესაბამისი ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ.

2. დიპლომს ხელს აწერს სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, ფაკულტეტის დეკანი, ბსუ–ს რექტორი.

3. გაცემული დიპლომის და შესაბამისი დანართის ასლი ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

მუხლი 12. დისერტაციის გამოქვეყნება

დოქტორანტი ვალდებულია დისერტაციის დაცვის შემდეგ, სამი თვის ვადაში, გამოაქვეყნოს დისერტაცია ბეჭდური ან ელექტრონული ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასზე არ გაიცემა დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი.

მუხლი 13. დოქტორის აკადემიური ხარისხის ბათილობა

სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით ბათილად იქნება ცნობილი დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე ამავე საბჭოს გადაწყვეტილება (ჩამოერთმევა ხარისხი), თუკი დადასტურდება პლაგიატობა ან სადისერტაციო საქმისწარმოების დროს დოქტორანტის მიერ არასწორი მონაცემების წარდგენა.

მუხლი 14. გარდამავალი დებულებები

1. ამ დებულების მოთხოვნები ძალაშია **2013–14** სასწავლო წლიდან.

2. ამ დებულების ამოქმედებამდე სადისერტაციო საბჭოს საქმიანობა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭება განხორციელდეს 2012–2013 სასწავლო წლისათვის მოქმედი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების შესაბამისად.

3. 2010-2011 სასწავლო წლამდე ჩარიცხული დოქტორანტებისთვის დისერტაციის წარდგენისა და დაცვის პროცედურა განხორციელდეს ამ დებულების მიხედვით, სადისერტაციო ნაშრომის შესრულება და მისი ძირითადი შედეგების გამოქვეყნება კი განხორციელდეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2008 წლის 8 ოქტომბრის №88 დადგენილებით დამტკიცებული შესაბამისი ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" დებულების მიხედვით", მაგრამ არაუგვიანეს 2013 წლის 1 ნოემბრისა.